შრომა

სურათებიანი დამატება

დამატების № 5. ხუთშაბათი, 20 აპრილი, 1906 წ. გაზეთის № 14.

მტარვალს

რატომ არა ვარ ყოვლის შემძლე. ბრძოლისა ღმერთი,
სათავე ზიზღის, მტრობა-შურის გზა შემაერთი;
ან ძალა რამე, რის ხელთ არის კაცთ სვე და ბედი,
ყოვლის გამსჭვრეტი, გრძნეულება კაცთ სულთა-მხედი,
რომ მოვავლინო ქვეყნად წყევა და რისხვა ჩემი,
გულ-შემზარავი, უკმეხთათვის თავს ზარ-დამცემი.
მთა მთასა ვტყორცნო, კლდე მედგარი შავ ლოდს ისროდეს,
ცა მეხს ჰგზავნიდეს, ჭექა-გრგვინვით მიწა იძროდეს.
უტეხ წყვდიადში ელვა მაღლით თუ ჩამოკრთოდეს,
ყოველი სული, თვალ-მოჭრილი, მის ნახვით ძრთოდეს!..
შენ კი ამავ დროს, ვით იუდა გაფითრებული,
მირბოდე სერზედ, მარტოდ მარტო, ბოროტი სული,
კაცთა მოძულე, ვერ ჰპოვებდე თავ-შესაფარსა,
რეკდე და არვინ არ გიღებდეს მოქანცულს კარსა.
ქვა, ლოდი, ბუჩქი, არე მარე ენად ქცეული,
თან მოგძახოდენ: „სისხლის მსმელო, იყავ წყეული!..“

—

ახ, რად არ ძალ-მიძს, უგუნურო,—გაგანადგურო
და შენს ადგილზედ ხალხის გული დავასადგურო!..

სოლ. გ—მე.

სამაისო სიზმარი

(მუშათა ცხოვრებიდან).

(კუსკოვასი).

I

უქმე დღე იყო, აპრილის შუა რიცხვები. მზე უკვე აცხუნებდა დედამიწას, მაგრამ გარეშემო ჯერ ისევ სიგრილის სუნი იდგა, თითქოს ზამთრის სიცივე ებრძოდა გაზაფხულის პირმომცინარე, მოალერსე სხივებს და არა სურდა დაეთმო თავისი სამეფო.

პატარა სამრეწველო ქალაქის განაპირა უბანში, პაწაწა მდინარის ნაპირზე, იდგა ვეებერთელა მექანიკური ქარხანა ფოლადისა და რკინისა. ქარხანაში კვირა-უქმეობითაც სწარმოებდა მუშაობა; იმის საკვამლეებიდან ამოსული ბოლი შავ ღრუბლივით ეკვროდა და იფანტებოდა ცის კამარას ქვეშ.

ქარხნის გარეშემო მიკრუხჩხულიყო მუშების ოთახები. სულ მუშაობდა ქარხანაში ექვსი ათასამდე მუშა; ესენი ქირაობდნენ ქარხნის პატრონის მიერ საკუთრივ მუშებისთვის აგებულ ოთახებს და იქვე სცხოვრობდნენ.

ქარხანასთან იქვე ახლოს ტყე იყო გაშენებული, ხშირი, ძველი ტყე, რომელსაც უკვე გამოღვიძებოდა და გამოცოცხლება დასტყობოდა ზამთრის ხანგრძლივ ძილის შემდეგ. თვით მუშების უბანში რამდენიმე სამიკიტნო იყო, ერთი-ორი ტრაქტირი და ერთიც „მომხმარებელი“ დუქანი. სამიკიტნო და ტრაქტირი სავსეა ხოლმე დილიდანვე დაწყებული; დღეს დასასვენებლად წამოსულ მუშებს ერთი ამბავი და დროს ტარება ექნებათ: ასეა ხოლმე მუდამ თავისუფალ უქმე დღეს. ქუჩები მთლად გაჭედილია მუშებით.

ერთ პატარა ოთახში, რომლის ფანჯრებზე თოვლივით თეთრი, წმინდა, მიტკლის ფარდებია ჩამოფარებული, წიგნს ჩასჯდომია ახალგაზრდა მუშა მექანიკურ სახელოსნოსი. მისს მკრთალ პირისახეს ამშვენებს პატარა, შავი წვერი და ალერსიანი, წაბლის ფერი თვალები, ზედ რაღაც ფიქრი დასტყობია, თითქოს ოცნებას გაუტაცნიაო. ისე გართულა წიგნის კითხვაში, რომ ვერც კი ამჩნევს, როგორ ეწყობა სარკის წინ ეშხიანი, სულ ახალგაზდა ქალი, მისი ცოლი. დღეს ამის დაბადების დღეა და დიდის სიამოვნებით იკეთებს საყელოზე ქმრისაგან მილოცვილს მანეთიან ქინძისთავს.

— ფედია! შენ კიდევ წიგნს ჩასჩიჩინებ!.. ფედია-მეთქი!

თედორმა უხალისოდ მოაშორა თვალი წიგნს და, თითქოს ნამძინარევიაო, მიუბრუნდა ცოლს.

— კარგათაა, ფედია? კარგად გავიკეთე?

— კარგათაა, დაშა!

— შენ არც კი მიყურებ და! ახ ფედია, ფედია!..

დაშა მოწყენილის თვალებით უცქეროდა ქმარს, მაგრამ, ცოტა ხნის შემდეგ, ისევ ისე გამხიარულდა.

— წავიდეთ, ფედია, დღეს ქალაქში, ბაღში გავისეირნოთ; იქ ხალხს მაინც ვნახავთ.

— არ შემიძლია დღეს, დაშა... საქმეები მაქვს აქ...

— ძმა ბიჭებთან, ტყეში უნდა წაბრძანდეთ, არა? ეს არის შენი საქმე?.. —ბრაზით შეუტია ცოლმა.

— ახ, დაშა, დაშა! როგორი ლაპარაკი იცი! განა როდისმე, ქალო, მე ძმა-ბიჭებში საქეიფოდ მივლია, დროს გასატარებლათ წავსულვართ როდ-სმე? რაღათ ჩამაცივდები ხოლმე, მუდამ ბრაზობ, ასე გგონია, ერთი ოხერი ვინმე ვიყო, მუდამ სამიკიტნოში ვეგდო.

— ათასწილათ სჯობია ოხრობა, ათასწილათ უკეთესია სამიკიტნოში გდება, ვიდრე...

— ვიდრე?

— ვიდრე ტყე-ღრე დაძვრებოდე, რაღაცებზე ჩურჩულებდე... და წიგნებს კითხულობდე... გული მიკვდება, სული მეხუთება, როცა გამახსენდება...

— რა გაგახსენდება, სულელო, რასა ჰბოდავ?

— აის ტერენტიანი, ხომ გახსოვს, რა უყვეს იმათ! აის დედაბერი რომ იყო, იმ დედაბერს! დაეცნენ ჟანდარმები,



პეტერბურგი.—სახელმწიფო სათათბირო.

აუქოთეს ყველაფერი, თითქოს ქურდი ყოფილიყოს და წაიყვანეს,—აი რა იცის თქვენმა წიგნებმა! რა ეგონათ მაშ! სულ

ერთ თავად კითხულობდნენ და, ასე ეგონათ, ჩვენზე ჭკვიანი კაცი არაა დედამიწაზეო... ღმერთო, ღმერთო, რისთვის დამსაჯე ასე!.. რა დაგიშავე მე მწარე ბედმა!—ამ სიტყვებთან ერთად ცრემლების ღვარი გადმოსქდა ახალგაზდა ქალს.

— კარქი, დაეხსენ, ნუღარ სულელობ...—ცოტა არ იყოს, დარცხვენით უთხრა ფედორმა.— რაღა გითხრა, დიაცი ხარ, დიაცზე უდიაცესი. აბა წადი ერთი თამბაქოს ფაბრიკაში და ნახე, რას აკეთებენ იქ ქალები! არც ჟანდარმებისა ეშინიანთ, და წიგნებსაც ერთიანათ ყლაპავენ...

— ეე, დაჩუმდი ერთი, თუ ღმერთი გრწამს! აი შეგიტყობენ, რომ იქ, ტყეში ქალებს იტყუებთ და წიგნებს აჩრით ხელში, და მაშინ ნახეთ თქვენი დღე...

— ნუ ყვირი, დაშა, ზევითა სართულში ხომ არა გგონიაშენი თავი, მიწაზე ვართ, მოგვაყურებს ვინმე... თუ გინდა ჭკუაზედ დამარიგო, გავიაროთ ტყეში, აი, გაიხედე, როგორი თბილი ტაროსია.

დაშამ ცხვირ-პირი ჩამოუშვა, გაიბუტა, თავსაფარი დაიხურა, ხალათი ჩაიცვა და ხელში გასალები აიღო.

— წამო, თუ მოდიხარ, შე ჩაფჩრეწილო სტუდენტო!

ფედორი ადგა, გაიზმორა. რაღაც დაქანცულობა უკრუნჩავდა ძარღვებს. ჩუმათ გავიდა გარეთ და შეამჩნია, რომ იმათი სახლისაკენ მოდიოდა ახალგაზდა მუშა, ლურჯ ხალათში გამოწყობილი, რომლის ულამაზო, ჩოფურა სახეს ჭკვიანური, შორსგამჭვრეტი თვალები ამკობდა.

— გამარჯობა, ფედორ! მივიღე, მივიღე!—მხიარულად შესძახა მან, მაგრამ რა დაინახა ოთახიდან მომავალი დაშა, დამშვიდებით ჰკითხა:

— სასეირნოთ? კეთილი იყოს! ერთ წუთას აქ მოფედია!

სტუმარმა იქით გაიხმო ფედორი, დაშა-კი გაბრაზებული უცქეროდა ქმრის ამხანაგს...

ერთის წუთის შემდეგ ფედორი და დაშა ერთად მისეირნობდნენ ტყისაკენ. დაშა დამშვიდებულიყო და ისე გაეწია თავსაფრის ყურები, რომ ყველას შეეძლო დაენახა მისი ახალი ქინძისთავი.

ს. ღომთათიძე

(გაგრძელება იქნება),

ცუდი ნიშანია!—სურ. გროტგერისა.

ქურის ვაჭარი ქალი

პოლ ეზისა.

(დასასრული *)

ამის მოგონებაზედ მოხუცს სული შეუგუბდა. რამდენსამე წამს შეჩერდა სულის ამოსათქმელად.

— ეს იყო პირველი მსხვერპლი ამ დიად საქმეში, მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, არა უკანასკნელი. 1730 წ. საქმე ცუდად წავიდა: თუმცა ხალხი უწინდელივით ლომივით იბრძოდა, მაგრამ რესპუბლიკას მაინც ვერ ეღირსა. რაკი მუშები მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ ამ ბრძოლაში, ამიტომ აღუთქვეს ბევრი რამ, მაგრამ როცა კუდი ყავარზედ გაიდვეს, დაივიწყეს დაპირებული. წეს-წყობილების შეცვლით ისარგებლა მხოლოდ მაღალ წრის ხალხმა. ვცხოვრობდით დიდის გაჭირებით: ფული არსად იყო, არც სამუშაო. ოჰ! რა უბედურებაა უსაქმობა! ჯანი გაქვს, მუშაობა შეგიძლიან და სიმშილით კი სული გხდება! ოჰ! რომ იცოდეთ, რა უბედური აზრები გიტრიალებს ამ დროს თავში! ჰხედავ, შენ სამუშაოც ვერ გიშოვია, სხვები კი გაუსჯელად გალაღებულნი სცხოვრობენ. ასე, ამ წვალებით ვცხოვრობდით 1848 წლამდის. ამ წლის დასაწყისში ჩემმა ქმარმა და იმისმა ამხანაგებმა გამოაცხადეს რესპუბლიკა, მაგრამ მათი გამარჯვება ხანგრძლივი არ იყო; თებერვლის ბრძოლის შემდეგ, ივნისში კიდევ მოხდა არეულობა. არც ამ ბრძოლაში და არც მეორეში ჩემი ქმარი არ დაჭრილა. უკანასკნელი ბრძოლა ტყუილი იყო: საწადელს ვერ მიაღწიეს. რასაკვირველია, გამარჯვებულმა მთავრობამ მებრძოლნი „მეამბოხეებად“ გამოაცხადა. დაეწყო დევნა. აი, როგორც წეღან თქვენ დაარქვით ჩემ შვილს დამნაშავე. განა იგი დამნაშავე იყო?! ჩემი ქმარი მეტად პატიოსანი, სამაგალითო კაცი იყო. განა ქურდი იყო, კაცის მკვლელი, ავაზაკი? განა ადვილია სიცოცხლე დასდოს ედამიანმა სასწორზე მაშინ, როცა სახლში ულუკმაპუროდ და უპატრონოდ რჩება ძვირფასი, საყვარელი ცოლშვილი? არა, ადვილი არ არის, მაგრამ ის დარწმუნებული იყო, რომ ამ კეთილ საქმისათვის აუცილებლად საჭიროა ბრძოლა და მსხვერპლიც: ამას გარდა ღრმათა სწამდა ამ საქმის კეთილად დაგვირგვინება. განა ეს არის დანაშაულობა? თუმცა მე განათლებული არა ვარ, მაგრამ მესმის ის, რაც იმათ წარმოსთქვეს, ვიცი რასაც ნიშნავდა ყველა ეს. მთავრობა სიტყვა „მეამბოხე“-თი სარგებლობდა და თავს იმართლებდა ყოველთვის, როდესაც ანთხევდა უმანკო, ხალხის წმიდა სისხლს, ყოველ მის დამარცხების შემდეგ, ჩემის თვალითა ვნახე, როგორ ხოცავდნენ იარაღ-აყრილ ხალხს წმინდა ბენუას მონასტერში. ერთი მეორეზე ათობით ეყარნენ გულ-განგმირული,

*) იხ. „დამატება“ № 4.

უიარაღო წმიდა რევოლიუციის მსხვერპლნი. მას შემდეგ დიდმა ხანმა განვლო, მაგრამ მე მაინც ყოველ მოგონებაზე თმა ყალყზე მიდგება.

კენჭის ამოღება.—სურ. გროტგერასა.

ბუვომ უთანხმოების ნიშნად ხელი ჩაიქნია, მაგრამ მოხუცმა კვლავ განაგრძო:

— მე გიამბობ იმას, რის მნახველი ვარ· ვიცი, რომ ბოლოს უარჰყვეს ჩადენილი მკვლელობანი და მერე აკრძალეს კიდეცა მაზე ლაპარაკი, მაგრამ განა შეიძლება იმისი დავიწყება, რაცა ვნახეთ და გადაგვხდა. შემდეგ დაუწყეს სასტიკი დევნა თავისუფლებისათვის მებრძოლთ, ჩემი ქმარი პირველად, როგორღაც, დაემალა მთავრობას. მე მხვდა წილად მათი დამალვა და მეც ქმარსაც და შვილსაც კარგახანს მოხერხებულად ვმალავდი, თუმცა უკანასკნელს, ესე იგი ჩემ შვილს, არ მიუღია რევოლუციაში არავითარი მონაწილეობა: ამ დროს ის თვრამეტის წლისა იყო. მამამ უბრძანა დარჩენილიყო სახლში ჩემთან. ძლივს იმაგრებდა თავს, მაგრამ რას გააწყობდა, დაჩვეული იყო მამის მორჩილებას. დიდი შიში იყო ამ დროს. მთავრობას სრულებით არა რცხვენოდა უდანაშაულო ხალხის შეპყრობისა და წამებისა. მერე წელს მიშელს ერგო კენჭი და თავი უკრეს ალჟირში, სადაც სრული ოთხი წელიწადი დარჩა. ეს გარემოება მახარებდა: პარიზში რომ დარჩენილიყო, 1881 წელს მთავრობა უსათუოდ გამოიყვანდა თავისუფლებისათვის მებრძოლთა წინააღმდეგ და იძულებული გახდებოდა, იარაღი ეხმარა მამის და იმის ამხანაგების წინააღმდეგ ან არა და მომკვდარიყო მთავრობის ხელით. 1881 წელს ჩემი ქმარი მოჰკლეს ომესის ქუჩედ. წინა დღეს ამხანაგები მოვიდნენ ჩვენსა, შუაღამემდის გასტანა მათმა თათბირმა. ამ დღეს გაკრული იყო ყველგან მთავრობის განცხადება და ლაპარაკობდნენ სწორედ ამ განცხადებაზე, მაგრამ ვერაფერი ვერ გადასწყვიტეს „მოღალატის“ განცხადების შესახებ. მერე დილით გაისმა თოფის ხმა, ამ ხმაზედ ქმარი წავიდა და მეც მალე უკან გამოვუდექი. ომესის ქუჩაზედ, ღვინის დუქანთან, შეგროვილიყვნენ ქალები—მებრძოლ მუშების ცოლები: თვალყურს ადევნებდნენ, დაჭრილებს და მოკლულებს ბეჯითად ვკრეფდით. მე სამი დაჭრილი შემხვდა მეოთხე—მკვდარი იყო,—ის, რომელთანაც ოცდაოთხი წელიწადი ვცხოვრობდი ტკბილად და პატიოსნად. როცა ავსწიე მისი ჩვარად ქცეული სხეული და დავუწყე თავდავიწყებით, გაშმაგებით კოცნა ჯერ ისევ თბილ ბაგეს, გულში მომხვდა ტყვია და მეც მასთან ერთად დედამიწაზედ დავეცი გონებამიხდილი.

მოხუცმა აცახცახებულის ხელებით ამაყად და მოურიდებლად გაიხსნა ზედატანი და აჩვენა ტყვიით განგმირული გული, რომელიც თითქმის შეხორცებული იყო.

— არ ვიცი მერე რა მოხდა,—განაგრძო მოხუცმა ქალმა: —რამდენიმე დღის შემდეგ, როცა გონს მოვედი ქვრივი ვიყავი. დამრჩა ნუგეშად მარტო მიშელი. ამ არეულობის შემდეგ, მალე დაბრუნდა სახლში. ერთად ერთი ჩვენი გასართობი და სასიამოვნო დიდებულ წარსულის მებრძოლთა მოგონება იყო: რესპუბლიკა ჩააქრეს. დიდ შეწუხებაში ვიყავით. მიშელი ეხლა მარტო ჩემზედ-ღა ფიქრობდა. არც ერთი შვილი არ ეპყრობოდა დედას ისეთის ალერსით, როგორც ის მე.

მოხუცს ხმა ჩაუწყდა, თავი ჩაღუნა და დადუმდა.

ბუავომ რაღაც უხერხულობა იგრძნო. სცდილობდა შესაფერი გამომეტყველება მიეღო. მოხუცმა თავი მაღლა აიღო და განაგრძო:

— მე მალე დავასრულებ ამ ამბავს. მომისმინეთ. გაიარა კარგა დრომ. ჩემმა შვილმა ცოლიც შეირთო, თუმცა გვიან კი. ცოლი მოუკვდა ლოგინობაზედ, დარჩა პაწია არსება, რომელიც ჩემსა და იმის ერთად ერთს ბედნიერებას შეადგენდა. უკვე გითხარით: ბოლოს ალყის შემორტყმის დროს მოკვდა ურძეობით. ჰო, ნეტა მე მოვმკვდარვიყავ იმის მაგივრად! ჩემი შვილი ვეფხვივით იბრძოდა პრუსიელების წინააღმდეგ. „დედილო, მითხრა ერთხელ შინ დაბრუნებულმა მიშელმა,—მგონი ვერსალელებს უნდათ პრუსიელებს დაემორჩილონ, მაგრამ ჩვენ ნებას არ მივცემთ“. ამ სიტყვებს რომ ამბობდა, სახე ისე აენთო, როგორც პაპას პირველ რევოლიუციის დროს. რამდენისამე კვირის განმავლობაში მიშელი სრულებით არა ბრუნდებოდა სახლში და, თუ იშვიათად მოვიდოდა, ისიც იმიტომ რომ გადმოეცა ჯამაგირი. მერე რაც მოხდა, თქვენც კარგათ იცით. როცა ყველაფერი გათავდა, მიშელი დაბრუნდა ფერმიხდილი, დაგლეჯილ-დაფლეთილი, ძლიერ გამხდარი. ოთხი დღე იმალებოდა სახლში და მეხუთე დღეს დაიჭირეს. აი სულ ეს არის ჩვენი ცხოვრება. გაიგეთ ეხლა რატომ არ მინდა თქვენი მოწყალება! მე ვცხოვრობ საწყლად, ჩემი მიშელი უფრო საწყლად. რა არის ჩემი შეწუხება იმის წვალება-ტანჯვასთან? განა შემიძლიან ვიფიქრო ჩემზედ მაშინ, როცა ხალხისათვის თავდადებული მებრძოლი

საპყრობილეში იტანჯება სულით და ხორცით. ჩემთვის მარტო ის არის ქვეყანაზედ, იმის მეტი მე არა მინდა-რა. ექვს



— ნუ თუ ეგ პაწაწკინა ლუკი ერთ მანეთადა ღირს?!
— რას იზამთ, ბატონო! ეს საკონელი ტფილისში ძალიან დაძვირდა: რაც რამ ლუკი იყო, სულ რედაქციების დაბეჭდვას მოუნდა...

წელიწად ნახევარი!... ოჰ, რამოდენა ხანია! ეხლა ხმა დადის, ვითომ ყველა უნდა გაანთავისუფლონო, ნეტა ჩქარა, როგორმე მეღირსოს იმისი ნახვა, თორემ უიმისოდ სიცოცხლე აღარ შემიძლიან!

ძნელი მოსათმენი იყო ბუავოსათვის ყველა ამის მოსმენა. შემკრთალმა და გაოცებულმა ბუავომ რაღაცა ყრუდ წაილუღლუღა და ჩქარის ნაბიჯით გაბრუნდა უკან. აქედან ბუავო პირდაპირ ქ-ნ ვირმონისას წავიდა.

—სულელი ყოფილა, ქ-ნო, ის დედაკაცი, რომელსაც თქვენ დახმარებას უწევთ.

ბანკირის ცოლი ამ ამბის შემდეგ სრულიად დაწყნარდა და გულიდან გადაიგდო მოხუცი ვაჭარი ქალი.

—

სამი კვირის შემდეგ ქ-ნ ვირმონის სადილად სტუმრები ჰყავდა და, რადგან ბევრი არავინ იყო, გასტონიც მათთან სადილობდა. რასაკვირველია, ბატონი ბუავოც აქ იყო. როცა ტკბილეულობა მოიტანეს, ბავშვმა მოიგონა ჩვენი ნაცნობი მოხუცი და უეცრად წამოიძახა:

— იცი, დედილო, რომ ქ-ნი სამსონი აღარ დადის მონსონის ბაღში? გავიგონე, რასაც მეეზოე ეუბნებოდა ჯერმენს. ქ-ნი სამსონი ორი დღე არ გამოსულა გარედ. პოლიციისათვის შეუტყობინებიათ, პოლიციას გაუტეხია სახლის კარები და მოხუცი მკვდარი უნახავს. ექიმს უთქვამს, რომ სიმშილით მომკვდარაო. ეს იმას ნიშნავს, რომ მოხუცს არა ჰქონია-რა ეჭამა და იშითი მოკვდა. არა განა? მართალი არ არის?

ბავშვს პასუხი არავინ გასცა. ქ-ნი ვირმონი ტანში დაიშალა და ცახცახმა აიტანა. ბალღი ციბრუტივით დატრიალდა ერთ ალაგას და უთხრა დედას:

— დედილო, ცოტა ნამცხვარი კიდევ მომეცი.

მ. ქარცივაძე



— შეიძლება შემოსვლა?
— მობძანდით... დიდი ხანია მოუთმენლად გელით. უთქვენოდ მოგვწყინდა...

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ნ. დიასამიძე.